სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 23 დეკემბრის N9 სხდომის ოქმით დამტკიცებული ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის ,,დ“ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილების საფუძველზე,

შევიდეს ცვლილება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 23 დეკემბრის N9 სხდომის ოქმით დამტკიცებული ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში:

1. **დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,3. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე არჩეული აკადემიური პერსონალი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები. სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება წინამდებარე დებულებით, მაგრამ არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის ¼-ზე ნაკლები.“

2. **დებულების მე-7 მუხლის პირველ პუნქტს, ,,უ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,$უ^1$ - $უ^3$“ქვეპუნქტები:**

,,$უ^1$) ქმნის სწავლებისა და კვლევის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმს;

$უ^2$) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით განსაზღვრავს სპეციალობის/სპეციალობების ჩამონათვალს საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების ფარგლებში;

$უ^3$) ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით იქმნება საატესტაციო კომისია, რომლის რეკომენდაციის საფუძველზე დეპარტამენტის წარდგინებით ფაკულტეტის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ბაკალავრის/მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე;“.

3. **დებულების მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,3. დეკანი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით – ბრძანებით ქმნის კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიას.“;

4. **დებულების მე-17 მუხლს, მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მქონე მე-3 პუნქტი:**

,,3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისათვის წასაყენებელ მოთხოვნებს განსაზღვრავს უნივერსიტეტი.“;

5. **დებულების 27-ე მუხლს, მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მქონე მე-8 პუნქტი:**

,,8. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხილვასა და დამტკიცებასთან დაკავშირებული სხვა პროცედურული საკითხები განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის,

შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქციით, რომელიც მტკიცდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით.“;

6. დებულების 35-ე მუხლს,,ღ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ყ“ქვეპუნქტი:
,,ყ) ოკეანოგრაფიისა და ჰიდროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი („ოკეანეჰიდრო“).“;

7. დებულების 37-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,1. ფაკულტეტზე არსებობს აკადემიური, ადმინისტრაციული, მასწავლებელთა და დამხმარე თანამდებობები.
2. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორისაგან, ასოცირებული პროფესორისაგან, ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტისაგან.“;

8. დებულების 37-ე მუხლს მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მქონე მე-5 პუნქტი:
,,5. ფაკულტეტის პერსონალის საქმიანობის შეფასება განხორციელდება თსუ-ის მიერ დამტკიცებული რეგულაციების საფუძველზე.“

9. დებულების 38-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. პროფესორები მონაწილეობენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებში ან/და წარმართავენ მათ.“;

10. დებულების მე-40 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,9. გამოცდა სპეციალობაში ტარდება ფაკულტეტის მიერ შესაბამისი დარგობრივი მოთხოვნების გათვალისწინებით წერითი ან წერითი და ზეპირი სახით. სამაგისტრო პროგრამებზე, სადაც გათვალისწინებულია მხოლოდ წერითი გამოცდა, საგამოცდო ნამუშევრები ფასდება 100 ქულიანი სისტემით. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ მაგისტრანტობის კანდიდატი მიიღებს დადებით შეფასებას (მინიმუმ 51%). სპეციალობის გამოცდაში მაგისტრანტობის კანდიდატთა ნაშრომებს ამოწმებს საგამოცდო კომისია, რომელიც ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე მტკიცდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.“

11. დებულების მე-40 მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,11. მაგისტრატურაში მისაღები წერითი გამოცდა(ები) ტარდება ფაკულტეტის მიერ თსუ საგამოცდო ცენტრის ტექნიკური მხარდაჭერით.“